ხელშეკრულება N20სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV -50700000)

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1 ტელეფონი: 38-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი TRESGE22, სახელმწიფო ხაზინა, ანგ.# GE24NB0330100200165022, სკ-211358957), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და **შპს „ინსერვისი"** (მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 115ა; ტელ: 2-42-12-12; საბანკო რეკვიზიტები: ს/ს თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ. GE96 TB54 2053 6020 1000 03; ს/კ 206346685), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ზურაბაშვილის** სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.
1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი
გათბობა-გაგრილების სისტემის შეკეთების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად
(CPV -50700000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს- **2'187.65 (ორი ათას ას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 65 თეთრი)ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის პავილიონის შენობაში არსებული (**MIDEA -ფირმის მოდელი - R410A)** გათბობა-გაგრილების სისტემის შეკეთება დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
გ) განახორციელოს მ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებს და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.
5.2 ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრულ მომსახურებაზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1(ერთი) წლის პერიოდში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **საქართველოს ეროვნული არქივის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, ილია ლომიძე ან იმ დროისთვის მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღების დროს, თუ ვადის გადაცილება, გამოწვეულია მესამე პირის ბრალეულობით (მწარმოებლის დეფექტი ან/და სხვა შემთხვევა), მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს წერილობითი დამადასტურებელი დოკუმენტი მესამე პირის ბრალეულობის შესახებ და წუნი აღმოფხვრას გონივრულ ვადაში შემსყიდველთან შეთანხმებით, რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო -2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შემსყიდველის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანართი №1-ის და 6.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,02%**-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,02%**-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილი წესის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ნაწილში მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი:** ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1, **ტელეფონი:** 238-14-25, **საბანკო რეკვიზიტები**: **ბანკის კოდი** TRESGE22; **სახელმწიფო ხაზინა** **ანგ.№** GE24NB0330100200165022 **სკ -** 211358957	**შპს „ინსერვისი"** **მისამართი:** ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 115ა; **ტელეფონი:** 2-42-12-12 **ელ. ფოსტა: hvac.inservice@gmail.com** **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი"; **ბანკის კოდი:** TBCBGE22; **ანგ.** № GE96 TB54 2053 6020 1000 03 **სკ-** 206346685

დანართი N1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	**შესყიდვის ობიექტის განზომილება და რაოდენობა**	**ერთ. ფასი**	**სულ ფასი**	**CPV**	**შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები ვადა და ადგილი**
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის პავილიონის შენობაში არსებული **MIDEA -ფირმის მოდელი - R410A** გათბობა-გაგრილების სისტემის შეკეთების მომსახურება მომსახურება მოიცავს: გათბობა-გაგრილების სისტემის რადიატორის სპილენძის მილების და დაზიანებული ადგილების დამუშავება-აღდგენას, სისტემის სრულად გატესტვას აზოტის აირით - 2 კომპლექტი აზოტის ტესტირება.	1(ერთი) მომსახურება	2187.65	2187.65	**50700000**	**მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 10 (ათი) დღე. **მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობა.

სულ ღირებულება შეადგენს: 2187.65 (ორი ათას ას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 65 თეთრი) ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით.

შემსყიდველი

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1,
ტელეფონი: 238-14-25,
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი TRESGE22; **სახელმწიფო ხაზინა**
ანგ.№ GE24NB0330100200165022
სკ - 211358957

მიმწოდებელი

შპს „ინსერვისი“
მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 115ა;
ტელეფონი: 2-42-12-12
ელ. ფოსტა: hvac.inservice@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“; **ბანკის კოდი:** TBCBGE22; **ანგ.** № GE96 TB54 2053 6020 1000 03
სკ- 206346685